FROM THE ECONOMIC HISTORY OF GALI DISTRICT (1921-1990)
გალის რაიონის ეკონომიკური ისტორიიდან (1921-1990)[1]

KAKHA KVASHILAVA
PhD in History, Associate Professor of
Sokhumi State University,
№61, Politkovskaya Str., 0186, Tbilisi, Georgia;
+995 577 96 38 18; kvashilava@sou.edu.ge;
ORCID ID: 0000-0001-7703-5568

Abstract:

On February 16, 1921, when the Bolsheviks had not yet fully occupied Democtatic Republic of Georgia, the Georgian Revolutionary Committee declared Georgia a Socialist Soviet Republic and announced that *"the brotherly nations of Adjara, Abkhazia, and Ossetia will determine their own fate"*. Based on this, on March 26, the Abkhaz Revolutionary Committee addressed a letter to the Chairman of the Council of People's Commissars of the RSFSR and the Nationalities Commissar I. Stalin, stating that Abkhazia should be declared an independent Socialist Soviet Republic and join the RSFSR. On March 28, in Batumi, a meeting of the Caucasian Bureau of the Central Committee of the RCP(b) and the Central Committee of the Georgian Communist Party, along with Bolshevik representatives from Adjara and Abkhazia, was held. The meeting discussed the issue "regarding the structure of Soviet power and the Communist Party in Abkhazia" and decided that "until the Congress of Soviet Councils in Abkhazia, the issue of federation with the RSFSR or the Georgian SSR remains open, and Abkhazia is declared a Socialist Republic. The party organization will carry the name of the RCP(b)'s Caucasian Bureau in Abkhazia and will operate in accordance with the directives of the RCP(b) Central Committee's Caucasian Bureau. The decrees of the Georgian Revolutionary Committee should serve as material for the Abkhaz Revolutionary Committee to ensure there is no contradiction between the actions of both revolutionary committees". The practice of Soviet state-building at that time did not consider granting the status of a republic unless the population of the territorial unit exceeded one million. The population of Abkhazia at that time was about 200,000, and Abkhaz people made up only 17% of the population, but the Caucasian Bureau's decision at the Batumi meeting satisfied the demand of the Abkhaz Bolsheviks. This idea was supported by the representative of the RSFSR in Georgia in 1920-1921, Major-General Pavel Sytin (1870-1938). Moreover, he also demanded a similar resolution for Samegrelo. In the General's opinion, this would make it easier for the RSFSR to control the disintegrated Georgia.

As a result, on March 31, a formally "independent" state formation, the Abkhazian Socialist Soviet Republic (Abkh. SSR), was proclaimed in the northwestern part of Georgia occupied by Soviet troops, just outside Tbilisi. On May 21, the Georgian Revolutionary Committee recognized this fact. Our Abkhaz colleagues consider this to have been the "restoration" of Abkhazia's "statehood".

However, in reality, this was not the case. The Abkhaz SSR actually represented a fictitious "statehood," which even the officials of the then Soviet establishment in Sokhumi (N. Lakoba, E. Eshba) did not take seriously and regarded as a temporary phenomenon[2]. Moreover, although Abkhaz historians

[1] სტატია მომზადებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის *„სამურზაყანო – ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინცია. წარსული და თანამედროვეობა“* [OTG-I-21-581 – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2021 წლის საგრანტო კონკურსი] ფარგლებში.

[2] N. Lakoba himself referred to this "independence" as a temporary measure they needed at the time (Lakoba N.,

(O. Bgazhba, S. Lakoba) considered Abkhazia's "independence" to be a result of V. Lenin's actions, it seems that Lenin had a radically different view on the matter compared to the Abkhaz historians. On July 23, 1921, at a meeting of responsible workers of Abkhazia, N. Lakoba himself spoke about the impossibility of Abkhazia's annexation to Russia and the necessity of close ties with Georgia, considering the ethnographic and historical conditions. Interestingly, on November 24, 1921, the Caucasian Bureau of the RCP(b) transferred Abkhazia's authority to the Georgian Communist Party, which was legally formalized in January 1922.

Everyone knew well that the Abkhaz "SSR" could not exist independently. Its political and economic potential was not sufficient to solve this task successfully. Therefore, it is clear that the approval of the governing officials of the Abkhaz SSR's party and state structures took place in Tbilisi. Economic issues were also managed from there. In order to correct this absurd situation, and to maintain Abkhazia as an "independent" Soviet republic for some time, a compromise decision was made: on December 16, 1921, Tbilisi and Sokhumi signed an alliance agreement. In this way, Abkhazia soon joined the *Transcaucasian Socialist Federative Soviet* Republic (TSFSR).

Despite the fact that the Bolsheviks carried out their own administrative reforms in the South Caucasus (the creation of "Socialist Soviet Republics"), the Kremlin did not seriously regard the "independent" status of Abkhazia. An example of this is the words of Soviet military and political figure M. I. Lisovskiy (1887-1938), who was the responsible secretary of the Chelyabinsk Provincial Committee of the RCP(b) in 1922-1923, at the X Congress of the All-Russian Soviet of Soviets (December 23-27, 1922), where he mentioned the three Soviet republics of Transcaucasia and then referred to Abkhazia as a "republic-like" entity. Interestingly, this "Soviet Republic" was rightfully referred to as an "Autonomous Republic" in the first USSR Constitution.

Key Words: Soviet Georgia; Soviet Abkhazia; Gali District; Economic; Economic History.

კახა კვაშილავა
ისტორიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
0186, საქართველო, თბილისი, პოლიტკოვსკაიას ქ., 61;
577 96 38 18; kvashilava@sou.edu.ge;
ORCID ID: 0000-0001-7703-5568

აბსტრაქტი:

1921 წ. 16 თებერვალს, როცა ჯერ კიდევ ბოლშევიკებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაპყრობილი არ ჰქონდათ, საქართველოს რევკომმა საქართველო სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადეს და იქვე განაცხადეს, რომ „აჭარის, აფხაზეთისა და ოსეთის მომმე ერები თვითონ განსაზღვრავენ საკუთარ ბედს". სწორედ ამის საფუძველზე 26 მარტს აფხაზეთის რევკომმა რსფსრ-ს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესა და ეროვნებათა სახკომ ი. სტალინს მიმართა წერილით, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელ სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად უნდა გამოცხადდეს და ის რსფსრ-ს შეუერთდეს. 28 მარტს ქ. ბათუმში რკპ(ბ) ცკ-ს კავბიუროსა და საქართველოს კპ(ბ) ცკ-ს, აჭარისა და აფხაზეთის ბოლშევიკთა თათბირი გაიმართა, რომელმაც განიხილა საკითხი „აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურისა და კომპარტიის შესახებ" და გადაწყვიტა, რომ „აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე საბჭოთა აფხაზეთის რსფსრ-სთან თუ საქართველოს სსრ-თან ფედერაციის საკითხი რჩება ღიად და აფხაზეთი ცხადდება სოციალისტურ რესპუბლიკად. პარტიული ორგანიზაცია კონფერენციამდე

1987: 176).

ატარებს სახელს – რკპ(ბ)-ს ორგბიურო აფხაზეთში და მუშაობს რკპ(ბ) ცკ-ის კავბიუროს დირექტივების შესაბამისად. საქართველოს რევკომის დეკრეტები უნდა წარმოადგენდნენ მასალას (აფხაზეთის) რევკომისათვის, რათა ორივე რევკომის მოქმედებაში წინააღმდეგობა არ იყოს“. იმდროინდელი საბჭოთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკა არ ითვალისწინებდა რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, თუ ტერიტორიული ერთეულის მოსახლეობა მილიონზე მეტი არ იქნებოდა. აფხაზეთის მოსახლეობა მაშინ დაახლოებით 200 ათასი იყო, აფხაზები კი მოსახლეობის მხოლოდ 17%-ს შეადგენდნენ, მაგრამ კავბიუროს ბათუმის თათბირის გადაწყვეტილებით აფხაზი ბოლშევიკების მოთხოვნა დაკმაყოფილდა“. ამ იდეას მხარს უჭერდა 1920-1921 წწ. საქართველოში რსფსრ-ს სახმედრო წარმომადგენელი, გენერალ-მაიორი პაველ სიტინი (1870-1938). უფრო მეტიც, ის ანალოგიურად საკითხის გადაჭრას სამეგრელოს მიმართაც მოითხოვდა. რსფსრ კი, გენერლის აზრით, ამგვარად დაშლილი საქართველოს კონტროლს ადვილად შეძლებდა.

აქედან გამომდინარე, 31 მარტს საბჭოთა ჯარების მიერ ოკუპირებული ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში ტფილისისგან ფორმალურად „დამოუკიდებელი“ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი – აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის (აფხ. სსრ) შექმნა გამოცხადდა. 21 მაისს კი საქართველოს რევკომმა ეს ფაქტი ცნო.

აფხაზეთის სსრ სინამდვილეში ფიქტიურ „სახელმწიფოებრიობას“ წარმოადგენდა, რომელსაც საკუთრივ იმ იმდროინდელი ოფიციალური სოხუმის ისტებლიშმენტიც (ნ. ლაკობა, ე. ეშბა) კი სერიოზულად არ აღიქვამდა და მას დროებით მოვლენად განიხილავდა.[3] უფრო მეტიც: მიუხედავად იმისა, რომ აფხაზი ისტორიკოსები (ო. ბღაჟბა, ს. ლაკობა) აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“ ვ. ლენინის დამსახურებად მიიჩნევენ, ბოლშევიკთა ლიდერს, როგორც ჩანს, ამ საკითხზე აფხაზ ისტორიკოსთაგან რადიკალურად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა. 1921 წ. 23 ივლისს აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირზე საკუთრივ ნ. ლაკობა საუბრობდა აფხაზეთის რუსეთთან მიერთების შეუძლებლობაზე და საქართველოსთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობაზე ეთნოგრაფიული და ისტორიული პირობების გათვალისწინებით. საინტერესოა, რომ 1921 წ. 24 ნოემბერს რკპ(ბ)-ს აფხაზეთის ორგბიურო საქართველოს კპ(ბ)-ს გადაულოცა, რაც იურიდიულად 1922 წ. იანვარში გაფორმდა.

ყველამ კარგად იცოდა, რომ აფხაზეთის „სსრ“ დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა. მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალი არ იყო ამ ამოცანის წარმატებებით გადასაჭრელად საკმარისი. ამიტომ გასაგებია, რომ აფხაზეთის სსრ პარტიული და სახელმწიფო სტრუქტურების მმართველი პირების დამტკიცება ტფილისში ხდებოდა. აქედანვე იმართებოდა ეკონომიკური საკითხებიც. ამ აბსურდის გამოსასწორებლად, ისე, რომ რაღაც ეტაპზე დარჩენილიყო აფხაზეთი როგორც „დამოუკიდებელი“ საბჭოთა რესპუბლიკა, მიღებული იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება: ტფილისმა და სოხუმმა 1921 წ. 16 დეკემბერს ხელი მოაწერეს სამოკავშირეო ხელშეკრულებას.[4] ამ გზით შევიდა აფხაზეთი მალე შექმნილ ამიერკავკასიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალურ კავშირში.[5]

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკებმა საკუთარი ადმინისტრაციული რეფორმა („საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების“ დაარსება) გაატარეს, კრემლში მაინცდამაინც სერიოზულად არ აღიქვამდნენ აფხაზეთის „დამოუკიდებელ“ სტატუსს. ამის მაგალითია საბჭოთა სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწის, 1922-1923 წწ. რკპ(ბ) ჩელიაბინსკის საგუბერნიო კომიტეტის პასუხისმგებელი მდივნის მოისეი იონოვიჩ ლისოვსკის (1887-1938) სიტყვა სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობაზე (23-27.12.1922), სადაც ის ასახელებს სამხრეთკავკასიურ 3 საბჭოთა რესპუბლიკას და შემდეგ აფხაზეთს მოიხსენიებს, როგორც

[3] საკუთრივ ნ. ლაკობა ამ „დამოუკიდებლობას“ აბრად მოიხსენიებდა, რომელიც მათ დროებით სჭირდებოდათ (Лакоба Н., 1987: 176).

[4] 1922 წ. 30 იანვარს ხელი მოეწერა სამხედრო შეთანხმებასაც ხელშეკრულებას (ტექსტი იხ.: *Документы по истории Абхазии..,* 2021: 229).

[5] 1922 წ. 13 დეკემბრიდან ვიდრე გაუქმებამდე (5.12.1936) *ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად* (ასფსრ) იწოდებოდა.

„რესპუბლიკის მსგავსს“. საინტერესოა, რომ ეს „საბჭოთა რესპუბლიკა“ სსრკ-ს პირველ კონსტიტუციაში სავსებით სამართლიანად „ავტონომიურ რესპუბლიკად“ მოიხსენიებოდა.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა საქართველო; საბჭოთა აფხაზეთი; გალის რაიონი; ეკონომიკა; ეკონომიკური ისტორია.

შესავალი

ოკუპანტებმა მალევე დაიწყეს ადმინისტრაციული რეფორმების გატარება, რომელსაც მათი მმართველობა უნდა უზრუნველყო. 1921 წ. 10 მარტს შეიქმნა სამურზაყანოს სამაზრო რევკომი (*Ревкомы Абхазии*, 1961: 383), რომლის დაკომპლექტება მხოლოდ 22 მარტისთვის დასრულდა და მის შემადგენლობაში შევიდნენ გვარამია, დათა ლაბახუა და დიმიტრი თორია (*Ревкомы Абхазии*, 1961: 45 – №48). 1 აპრილს რკპ(ბ) აფხაზეთის ორგბიურომ და რევკომმა სამურზაყანოს რევკომის ხელმძღვანელად ნ. სვანიძე[6] დანიშნეს, წევრებად კი – დ. თორია და რ. გოგოხია, განყოფილებების გამგეებად – იას. ხაბურზანია, ფ. თორია და სხვები. ადგილობრივი პარტიული ლიდერი კი ნ. ბოკუჩავა გახდა (Сагария, 1981: 80). მალე შეიქმნა სასოფლო რევკომები (Куправа, 2013: 551).

საოკუპაციო რეჟიმმა სამურზაყანოში კომპეტენტური კადრები ვერ მოიძია ადგილობრივი სახელისუფლო სტრუქტურების დასაკომპლექტებლად, რაზეც 1921 წლის მაის-ივლისში არაერთხელ მიუთითებდა ადგილობრივი რევკომი (*Ревкомы Абхазии*, 1961: 110 – №105). მოსახლეობა ბოლშევიკებთან თანამშრომლობას თავს არიდებდა (*Ревкомы Абхазии*, 1961: 269 – №230).

1922 წ. იანვარში აფხაზეთში საბჭოების პირველი არჩევნები ჩატარდა. განსხვავებით სხვა მაზრებისგან, სამურზაყანოში[7] ადგილობრივი საბჭო მთლიანად კომუნისტებით დაკომპლექტდა (Сагария, 1981: 80). ამ არჩევნების საფუძველზეც 18 თებერვალს დაკომპლექტდა აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი (ცაკ), რომლის პრეზიდიუმის თავმჯდომარე გახდა ე. ეშბა, ხოლო სახკომსაბჭო ნ. ლაკობამ ჩაიბარა.

მეთოდები:

კვლევისას გამოყენებულია პირველადი წყაროების ანალიზის, შედარებითი ანალიზის, ისტორიზმისა და ობიექტურების პრინციპების მეთოდები.

მსჯელობა და შედეგები:

მიუხედავად იმისა, რომ 1925 წელს აფხაზმა ბოლშევიკებმა თითქოს უარი თქვეს საქართველოსთან კავშირზე, ძნელი დასაჯერებელია, რომ ნ. ლაკობა ამ გზით წავიდოდა, რადგან ჯერ კიდევ 1921 წ. 16 ნოემბერს, როცა ე. ეშბა აფხაზეთის ასფსრ-ში უშუალო შესვლას ითხოვდა, კავბიურომ სავსებით გარკვევით მიანიშნა, რომ აფხაზეთის ეკონომიკურად და პოლიტიკურად დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა, ამიტომ მას მხოლოდ ორი გზა ჰქონდა: 1) სახელშეკრულებო კავშირი საქართველოსთან; 2) ავტონომიური ოლქის სტატუსი რსფსრ-ში (გამახარია, 2021: 397). ამიტომ ნ. ლაკობა, რომლისთვისაც სავსებით ნათელი იყო, რომ „მოკავშირე რესპუბლიკის“ სტატუსი აფხაზეთისთვის რეალურად მიუღწეველ მიზნად ჩანდა, თავს ძალიან მშვიდად გრძნობდა ტფილისის ქოლგის ქვეშ. ამიტომაც ამბობდა ის 1926 წ. ასეთ სიტყვებს: „...აფხაზეთი მოინდომებს – წავა საქართველოდან, მოინდომებს – დარჩება საქართველოში. იმისათვის, რომ ამის შესახებ არ იყოს ოდესმე რაიმე გაუგებრობა, საჭიროა, სრულიად გადაჭრით განვაცხადოთ, რომ აფხაზეთს საქართველოდან წასვლა არ შეუძლია, არ აქვს განზრახვა და არც სურს ეს“

[6] შემდგომ ის ალ. უბირიამ შეცვალა (Куправа, 2013: 530).

[7] 1925 წ. ნოემბერში სამურზაყანოს მაზრას სახელი გადაერქვა და *გალის მაზრა* ეწოდა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 27).

(გამახარია, 2021: 406). ამ ვითარებაში ნ. ლაკობამ 1925 წლისთვის აფხაზეთში ეთნოკრატიული რეჟიმი დაამყარა (პაპასქირი, 2021: 416).

აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარე ე. ეშბა 1921 წ. 20 ივნისს შეხვდა სამურზაყანოს მოსახლეობას, რომელიც ძლიერ უკმაყოფილებას გამოთქვამდა აფხაზეთის სსრ-ს შექმნით, რაც, გააზრებული იქნა, როგორც საქართველოდან გამოყოფა. ამიტომ ისინი რეგიონის ტფილისისადმი დაქვემდებარებას ითხოვდნენ (ჯიქია, სილაქაძე, 2024: 94). გალელებმა მათ წარმომადგენლად ხოფო ეთერია აირჩიეს. მან რესპუბლიკის ხელმძღვანელს გადასცა მოსახლეობის მოთხოვნები, რომელთა ერთი ნაწილი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის იყო; იქვე იდგა საკითხი აფხაზეთისა და საქართველოს სსრ-ების მომავალი ურთიერთობებისა და ადგილობრივ სკოლებში ქართულენოვანი განათლების შესახებ (Гамахария, Гогия, 1997: 474-475). ე. ეშბა შეეცადა სამურზაყანოელთა დარწმუნებას, რომ საბჭოთა სისტემაში დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, აფხაზეთი რუსეთთან იქნებოდა თუ საქართველოსთან. ისინი აფხაზები იყვნენ. ამიტომაც, სკოლებში მათ ქართულის ნაცვლად, აფხაზური და რუსული უნდა ესწავლათ. რეგიონის მოსახლეობამ ამას დიდი წინააღმდეგობა გაუწია. პირიქით, მათ მოითხოვეს ქართულენოვანი განათლების უზრუნველყოფა. ამასთან ვინმე იასონ აგუმავამ, რომელიც, როგორც ჩანს, ეშბა-ლაკობას იდეების თანამოაზრე და მათი გუნდის წევრი ჩანს, განაცხადა, რომ სამურზაყანოელთა ენა აფსუური იყო და, შესაბამისად, განათლებაც ამ ენაზე უნდა წარმართულიყო. მოსახლეობამ არც ეს აზრი გაიზიარა (გასვიანი, 2004: 315, 317; ხორავა, ჭანტურია, 2019: 19; Гамахария, Гогия, 1997: 474-475). ამდენად, ადგილობრივი მოსახლეობა უპირობოდ იდგა ქართულ ორიენტაციაზე.

1923-1924 წწ. სამურზაყანოში გალის, გინძე-ეწერის, დიხაზურგის, ლეკუხონის, სანარდოსა და ღუმურიშის სასოფლო საბჭოები (სოფსაბჭო) შეიქმნა, რამაც, საერთო ჯამში 23 სოფსაბჭო შეადგინა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 26).

ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმა 1925-1926 წწ. განხორციელდა და გაიყო ბედიის სოფსაბჭო, რომლის ნაცვლად შეიქმნა I ბედიის, II ბედიის, აგუ-ბედიის სოფსაბჭოები; გინძე-ეწერის სოფსაბჭო შეუერთდა გუდავის სოფსაბჭოს, რომელიც გაიყო და შეიქმნა I გუდავის და II გუდავის სოფსაბჭოები; ბარღების სოფსაბჭო გაიყო და მისგან შეიქმნა ზემო ბარღებისა და ქვემო ბარღების სოფსაბჭოები; ამათთან ერთად შეიქმნა, ასევე, ჩხორთოლის რეკისა და ხუმუშქურის სოფსაბჭოები (ხორავა, ჭანტურია, 2019: 27).

1926 წ. მაზრებში, სათემო აღმასკომების ნაცვლად, გამოიყო რაიონები (რამდენიმე სოფსაბჭოს გაერთიანება). გალის მაზრაში შექმნეს აჩიგვარის რაიონი. თუმცა ამ სისტემამ არ გაამართლდა და ძირითადი ადმინისტრაციული ერთეული კვლავ თემი გახდა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 27). ამ დროისთვის რაიონში უკვე 28 სოფსაბჭო არსებობდა: საბერიოს, ლეკუხონის, დიხაზურგის, რეჩხო-ცხირის, ღუმურიშის, გალის, ოქუმის, ჩხორთოლის, აგუ-ბედიის, I ბედიის, II ბედიის, რეკის, მუხურის, აჩიგვარის, I გუდავის, II გუდავის, რეფო-შეშელეთის, პირველი გალის, ცხირო-გალის, ჭუბურისხინჯის, თაგელონის, სიდა-ნაბაკევის, ნაბაკევის, ზემო ბარღების, ქვემო ბარღების, ოტობაიის, გაგიდა-ნაჭკადუს, ხუმუშქურის (ხორავა, ჭანტურია, 2019: 28). მაგრამ იმავე წლის 11 ნოემბერს გადაწყდა ამ ციფრის რამდენადმე შემცირება: ორივე გუდავა ისევ გაერთიანდა გუდავის სოფსაბჭოში; წარჩე მუხურს შეუერთდა მუხურის სოფსაბჭოში; აგუ-ბედიისა და რეჩხის სოფსაბჭოები და გალის სადაბო საბჭო გაუქმდა მეზობელ სოფსაბჭოებთან გაერთიანებით (ხორავა, ჭანტურია, 2019: 28-29). შემცირების პოლიტიკა გაგრძელდა და უკვე 1928 წ. სექტემბრისთვის გალის მაზრაში მხოლოდ 15 სოფსაბჭო გვხდება (ხორავა, ჭანტურია, 2019: 29).

1931 წ. დასაწყისისთვის გალის რაიონი[8] (ცენტრი – დაბა გალი) 25 სოფსაბჭოთია წარმოდგენილი (ხორავა, ჭანტურია, 2019: 32). ერთი წლის შემდეგ, 1932 წ. 28 დეკემბერს გალს ქალაქის სტატუსი მიენიჭა (აკიშბაია, 2003: 133), მაგრამ მისი რაიონის სოფსაბჭოების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, 1-თ შემცირდა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 33).

[8] მაზრები რაიონებით 1930 წ. 30 ივლისს შეიცვალა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 31).

1935 წ. 16 აგვისტოს გაგიდის სოფსაბჭოს გამოეყო სოფლები: ნაჭკადუ, ნაკარ-ღალი და ფიჩორი და დაარსდა ახალი სოფსაბჭო ცენტრით სოფ. ფიჩორში; წარჩეს სოფსაბჭოს გამოეყო სოფლები: საბულეისკირიო და საშარანგიო და დაარსდა ახალი სოფლოსაბჭო ცენტრით სოფ. საშარანგიოში – მუხურის სოფსაბჭოს სახელწოდებით. ამასთანავე, გალის რაიონს გამოეყო და ოჩემჩირის რაიონს შეუერთდა სასოფლო საბჭოები: აგუ-ბედიის (პატრა-ხუწა, მიშველი, ახეცარა, ამხანაგობა, აგუ-ბედია, ქვალონი, აჯარა), რეკის (საჩინო, რეკა-ქვემო, რეკა-ზემო და ჯგერიანი) და ჩხორთოლის (ჩხორთოლი ზემო, არადუქვა და ჩხორთოლი ქვემო) (ხორავა, ჭანტურია, 2019: 34). მკვლევართა ზუსტი შენიშვნით, ამ სოფსაბჭოების ოჩამჩირის რაიონისთვის მიწერა გალის *„ქართული მოსახლეობის მეტნაკლებად შემცირებასა და ამ სოფლების მოსახლეობის სრულად გააფხაზებას ისახავდა მიზნად“* (ხორავა, ჭანტურია, 2019: 35). ამასთან ერთად, აქ აფხაზთა გარკვეული რაოდენობაც ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, ამანაც გამოიწვია ამ ეთნოსის წარმომადგენელთა რაოდენობის შემცირება გალის რაიონში (გაფრინდაშვილი და სხვ., 1991: 44).

1939 წ. რეჩხო-ცხირი 2 ნაწილად გაიყო: რეჩხის სოფსაბჭო ცენტრით სოფ. რეჩხში (რეჩხი, ხოლეს ზემო ნაწილი, კოლმეურნეობა „წითელი არმიის“ მიწების ფარგლებში) და ცხირის სოფსაბჭო ცენტრით სოფ. ცხირში (ფართოღალი, ნამარკელი, წკელკარი, და ხოლეს ქვემო ნაწილი „კომინტერნის“ სახელობის კოლმეურნეობისა და „კომუნიზმის“ სახელობის კოლმეურნეობის მიწებით) (ხორავა, ჭანტურია, 2019: 39). იმავე 1939 წ. ოჩემჩირის რაიონის ჩხორთოლის სოფსაბჭოს გალის რაიონს გადაეცა, რადგან ჩხორთოლი ამ გალთან იყო ეკონომიკურად დაკავშირებული (ხორავა, ჭანტურია, 2019: 40).

1948 წ. ცხირის სოფსაბჭოს მიუერთეს სოფლები I ქვემო-ცხირი და II ქვემო-ცხირი. გაერთიანებულ ერთეულს სოფ. ცხირი ეწოდა. აქედან გამომდინარე, უკვე 1949 წ. გალის რ-ნი შედგებოდა ქ. გალისა და 25 სოფსაბჭოში გაერთიანებული 94 სოფლისგან (ხორავა, ჭანტურია, 2019: 46).

1950 წ. აგვისტოში შემდეგ სოფლებს შეეცვალათ სახელწოდებები: დიხაზურგის სოფსაბჭოს სოფ. დიდ წიფურს ეწოდა *დიხაზურგა*, II ბედიის სოფსაბჭოს სოფ. სანარდოს – *II ბედია*, მუხურის სოფსაბჭოს სოფ. საშარანგიოს – *მუხური*, ნაბაკევის სოფსაბჭოს სოფ. გაბარს – *ნაბაკევი*, I გალის სოფსაბჭოს სოფ. სამქვარს – *I გალი*, საბერიოს სოფსაბჭოს სოფ. დაურჩქელას – *საბერიო*, სიდის სოფსაბჭოს სოფ. ჭანდარს – *სიდა*, თაგილონის სოფსაბჭოს სოფელ შუაუბანს – *თაგილონი*, ჭუბურხინჯის სოფსაბჭოს სოფელ ნალამუს – *ჭუბურხინჯი*, ჩხორთოლის სოფსაბჭოს სოფ. არადუქვას – *ჩხორთოლი* (ხორავა, ჭანტურია, 2019: 47). ეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ 1952 წ. ივლისში დაამტკიცა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 48.

1951 წ. მონაცემებით გალის რ-ნის 25 სოფსაბჭო 96 სოფელს აერთიანებდა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 48).

1952 წ. აპრილში ზუგდიდის რ-ნის კოკის სოფსაბჭოს გამოეყო დასახლებული პუნქტი ხურჩა და აფხაზეთის ასსრ გალის რ-ნის ნაბაკევის სოფსაბჭოს მიეკუთვნა. მაისში კი ნაბაკევის სოფსაბჭოს სოფ. მარჩხაფონს *განახლება* ეწოდა; ამასთანავე ნაბაკევის სოფსაბჭოს გამოეყო სოფ. განახლება, ხოლო გაგიდის სოფსაბჭოს – სოფ. ოკვინორე და მათგან შეიქმნა *განახლების სოფსაბჭო* ცენტრით სოფ. განახლებაში (ხორავა, ჭანტურია, 2019: 48). 1952 წ. ივლისში განხორციელდა სოფელთა გაერთიანება: სიდის სოფსაბჭოს სოფლები ჭანდარი, ტობა და სათანჯო და ეწოდა *სოფ. სიდა*; თაგილონის სოფსაბჭოს სოფლები: შუაუბანი და ქვემოუბანი და ეწოდა *სოფ. თაგილონი*; თაგილონის სოფსაბჭოს სოფლები: ზემოუბანი და ეწერისუბანი და ეწოდა *სოფ. სალხინო*; ჩხორთოლის სოფსაბჭოს სოფლები: არადუქვა, ზემო ჩხორთოლი და ქვემო ჩხორთოლი და ეწოდა *სოფ. ჩხორთოლი* (ხორავა, ჭანტურია, 2019: 49).

1953 წ. მონაცემებით გალის რ-ნი უკვე 26 სოფსაბჭო 90 სოფელს აერთიანებდა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 49). იმავე წლის 28 აპრილს ხურჩა გამოყვეს ნაბაკევის სოფსაბჭოდან და ისევ ზუგდიდის რ-ნის სოფ. კოკის სოფსაბჭოს შეუერთეს (ხორავა, ჭანტურია, 2019: 49).

იმავე წლის სექტემბერში მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებს ხელახლა შეეცვალა სახელი, მათ შორის, ბუნებრივია, გალის რაიონშიც, სადაც სოფ. ცხირის ეწოდა *მზიური*, ხოლო ცხირო-გალის სოფსაბჭოს – *მზიურის სოფსაბჭო*, ხოლო სოფ. მზიურს ეწოდა *ცხირი*, ხოლო მზიურის

სოფსაბჭოს კი *ცხირის სოფსაბჭო* ცენტრით სოფ. ცხირში; სოფ. სამქვარის ახალი სახელი გახდა *სოფ. ნარინჯოვანი*, ხოლო I გალის სოფსაბჭოსი – *ნარინჯოვანის სოფსაბჭო*. სოფელ ნარინჯოვანს კი ეწოდა *სამქვარი*, ხოლო ნარინჯოვანის სოფსაბჭოს – *I გალის სასოფლო საბჭო* (ხორავა, ჭანტურია, 2019: 50). ეს გადაწყვეტილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1955 წ. 16 აპრილს დაამტკიცა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 53-54).

1954 წ. 16 ივნისს სოფ. რეფო-შეშელეთის სოფსაბჭოდან გამოყვეს I შეშელეთი, რომელიც მუხურის სოფსაბჭოს მიუერთეს (ხორავა, ჭანტურია, 2019: 52). 19 ივნისს განხორციელდა რამდენიმე სოფლის გაერთიანება: ხუმუშკურისა და ზემო ბარღების სოფსაბჭოები *ზემო ბარღების სოფსაბჭოში* მოაქციეს, ხოლო გაგიდისა და განახლების სოფსაბჭოები კი – *განახლების სოფსაბჭოში* (ხორავა, ჭანტურია, 2019: 53).

1961 წ. მონაცემებით გალის რაიონში 24 სოფსაბჭო აღირიცხა 90 სოფლით (ხორავა, ჭანტურია, 2019: 55). მდგომარეობა არ შეცვლილა 1977 წლის დეკემბრამდე, როცა გალის წყალსაცავის მიერ სოფ. ცხირის 2 ნაწილად გაყოფასთან დაკავშირებით, სოფლის ზედა ნაწილს *სოფ. ცხირი* ეწოდა. რეჩხი-ცხირის სოფსაბჭოს გამოეყო სოფლები – ზემო ცხირი (მიუერთეს მზიურის სოფსაბჭოს), ცხირი და ფართოღალი (მიეკუთვნა I გალის სოფსაბჭოს). ამასთან, რეჩხი-ცხირის სოფსაბჭოს ცენტრი გადატანილ იქნა I ცხირიდან სოფელ რეჩხში. რეჩხი-ცხირის სოფსაბჭოს *რეჩხის სოფსაბჭო* ეწოდა (ხორავა, ჭანტურია, 2019: 60).

1987 წ. 1 იანვრისთვის გალის რ-ნი წარმოდგენილია ქ. გალითა და 25 სოფსაბჭოთი (91 სოფელი) (ხორავა, ჭანტურია, 2019: 61). ეს მდგომარეობა დარჩა აფხაზეთის ოკუპაციამდე.

საბჭოთა ხელისუფლებამ იმთავითვე მიწის რეფორმის განხორციელება დაიწყო, რადგან შეძლებული მოსახლეობა მაინცდამაინც მათი მოკავშირე არ იყო. ძირითად მოკავშირეებს ისინი უმიწაწყლოებში ეძებდნენ. ჯერ კიდევ 1918 წ. 20 მაისით დათარიღებულ საბუთში მითითებულია, რომ ბოლშევიკებს მხარს უჭერდა „გლეხთა აგრესიულად განწყობილი ნაწილი“, რომელიც მიზნად ისახავდა სხვისი ქონების მიტაცებას (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 109). მიუხედავად ამისა, პრობლემა არსებობდა. მოსახლეობის ნაწილი მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რაც, ბუნებრივია, სოციალური არასტაბილურობის მიზეზიც იყო. სწორედ ამიტომაც ახერხებდნენ წინა წლებში, როგორც ეს ზემოთ ვნახეთ, ბოლშევიკები სამურზაყანოში ვითარების მუდმივ არევას და რიგ შემთხვევაში ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. სამურზაყანოს რევკომმა ჭუბურხინჯისა და ცხირო-გალის თემისგან 29 გლეხის (უმიწო და მცირემიწიანი) წერილი მიიღეს, სადაც ისინი აღნიშნული საკითხის მოწესრიგებას ითხოვდნენ (Куправа, 2013: 49-50). უკვე იმავე მარტში ადგილობრივმა ხელისუფლებამ სოფლებში წარმომადგენლებს დაუგზავნა ინსტრუქცია მიწის განაწილების პრინციპების შესახებ (Куправа, 2013: 51). მიწის მფლობელებს, მათ შორის – გლეხებსაც, რომელსაც „მუშათა და გლეხთა ხელისუფლებამ“ „კულაკები“ უწოდა, მალე მათ საკუთრებაში არსებული ნაკვეთები ჩამოართვა და მხოლოდ სამურზაყანოში მცირემიწიანებს გადაეცა 2 488 დესეტინა ფართობი (Куправа, 2013: 61-62). საინტერესოა, რომ 1917 წ. ამ კატეგორიის გლეხებს იჯარით აღებული ჰქონდათ 2 117 დეს. მიწა (Куправа, 2013: 71).

აღნიშნული პროცესი მიწისმფლობელთა უკმაყოფილებას იწვევდა. ბედიელი აზნაური ლევან ხახუბია 1922 წელს აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭოსგან ითხოვდა მამულის დაბრუნებას, რადგან, მისი თქმით, ის ოჯახის გარდა, ღარიბ ნათესავებსაც ინახავდა (Куправа, 2013: 63-64). მიწის უპირობოდ დაკარგვის შიშით მემამულეები მათ გაყიდვას ცდილობდნენ. ასე მოიქცა გალის მაზრის სოფ. რეკას მკვიდრი მარღანია, რომელმაც მიწა გლეხ ბადრა კუჩუბერიას მიჰყიდა. მხოლოდ 1926 წ. 86 მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა. თუმცა, ხელისუფლება მალევე ახდენდა ასეთი შენაძენების კონფისკაციას (Куправа, 2013: 64-65).

1926 წლისთვის გალის მაზრაში უკვე აღარ დარჩნენ ყოფილი თავად-აზნაურობის წარმომადგენელთაგან ვინმე, ვისაც ნამეტი მიწა დარჩა. როგორც ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის (აღმასკომი) თავმჯდომარე ი. ხაბურზანია ტრაბახობდა, ზოგიერთ მათგანს კი ძალზედ შემცირებული ფართობი შერჩათ (Куправа, 2014: 66).

ბოლშევიკური ხელისუფლების წინააღმდეგ გარკვეული პროტესტიც ჩნდებოდა. ასე მაგალითად, 1922 წ. 2 აპრილის ღამით ოტობაიელმა ქალბატონმა სოფლის ბეღელი და მილიციონერის სასიმინდე გადაწვა და ამგვარად გააპროტესტა გაზრდილი სასურსათო გადასახადი. ხელისუფლებამ მარჟა მაინც არ დასწია, რაზეც პროტესტი 1924 წელსაც გაგრძელდა (Куправа, 2013: 129).

კერძო საქმიანობის ნიველირების მიზნით, ხელისუფლებამ უკვე 1922 წლიდან დაიწყო კოოპერატივების დაარსება. იმავე წლის მიწურულს ამოქმედდა სამურზაყანოს და ოქუმის კოოპერაციები (Куправа, 2013: 145). მათში, ოფიციალური მონაცემებით გაერთიანებული იყო 200 გლეხი (Куправа, 2013: 169-170). 1925 წლისთვის მათ გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს. მათი პროდუქცია გაცილებით იაფი ღირდა, ვიდრე – გლეხის კერძო მეურნეობისა (Куправа, 2013: 162). ეს კი კერძო მეწარმეთა უკმაყოფილებას იწვევდა (Куправа, 2013: 151).

სოფლის მეურნეობის გასაძღოლად იქმნებოდა საკრედიტო ამხანაგობები, რომელშიც საგლეხო მეურნეობები ერთიანდებოდნენ. 1920-იან წლებში აფხაზეთში 12 საკრედიტო ამხანაგობებიდან 2 (აჩიგვარისა და გალის) გალის მაზრაზე მოდიოდა.[9] 1924-1925 წწ. მათ აფხაზეთის სსრ სოფლის მეურნეობის ბანკიდან (აფსოფლბანკი), შესაბამისად, 52 000 და 74 300 მანეთის სესხი მიიღეს (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 316). ამ ფინასური გაერთიანებით, საგანგებოდ შექმნილ სამურზაყანოს მაზრის სატრაქტორო ამხანაგობას, რომელმაც 1926 წ. პირველი ტექნიკა –1 ერთეული ტრაქტორი შეიძინა (Куправа, 2013: 111, 184).

1927-1929 წლებში მთავრობის ძალისხმევით კოოპერატივებში გაერთიანებულ იქნა 3 ათასზე მეტი ღარიბი გლეხთა მეურნეობები. კოოპერატიული მოძრაობის ეფექტურობის საუკეთესო ნიმუშად თავის დროზე სახელდებოდა გალის მაზრის გაგიდა-ოტობაიას კოოპერატივი „მუშა“, რომელმაც შექმნიდან დროის მცირე მონაკვეთში შეძლო 1 800 ფუთი ბამბის ნედლეულის, 2 000 ფუთი თხილის, 600-ზე მეტი ფუთი სიმინდის მოყვანა. როგორც მკვლევარები მიუთითებენ, იმჟამინდელი მდგომარეობით ეს ნორმალური მაჩვენებელი იყო, მაგრამ შემდგომ წლებში, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების თვალსაზრისით, ამ სოფლებს წარმატებას ვერ მიაღწიეს (ანჩაბაძე ჯ., 2012: 96). ოტობაიას კოლმეურნეობა ერთ-ერთ ჩამორჩენილ მეურნეობად ითვლებოდა ავტონომიურ რესპუბლიკაში. 1970-1980-იან წლების მიჯნაზე კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად გარდაიქმნა, მაგრამ ჩამორჩენა ვერ აღმოფხვრა, ასე გრძელდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე (ანჩაბაძე ჯ., 2012: 96). საინტერესოა, რომ პირველი კოლმეურნეობა[10] (მიხა ცხაკაიას სახელობის) სოფ. ნაბაკევში დაარსდა (1927 წ.), რომლის ძირითადი სპეციალიზაცია ჩაის მოყვანა იყო. მისი ორგანიზატორები იყვნენ დ. თორია, იას. უბილავა, ს. თორია, ე. თორია, ც. ეხვაია, ც. თორია (Куправа, 2015: 360). ჩაის კულტურის განვითარებამ მოითხოვა სპეციალიზებული სასწავლებლის დაარსება, სადაც შესაბამის სპეციალისტებს გაზრდიდნენ. 1931 წელს დაფუძნდა გალის ჩაის ტექნიკუმი (Куправа, 2015: 568).

ზოგადად, გალის რაიონი მოწინავეობდა ჩაის ფოთლის წარმოებაში, ვინაიდან ამ კულტურის პლანტაციების ყველაზე დიდი ფართობი სწორედ აქ იყო. მის მოყვანას 5 მსხვილი კოლმეურნეობა (გალის, ჭუბურხინჯის, ნაბაკევის, აჩიგვარისა და ოქუმის), 30 კოლმეურნეობა და 7 საბჭოთა მეურნეობა ემსახურებოდა (Лежава Г., 1968: 147-148).

1929 წ. დაწყებულ საკოლმეურნეო მოძრაობას ძალიან მალე მოჰყვა სოფლის მოსახლეობის უკმაყოფილება აფხაზეთში, რაც გამოწვეული იყო ეკონომიკური სიდუხჭირით, რომელსაც ზედ ახალი ვალდებულებები და გადასახადები დაერთო. როგორც საარქივო მასალების მიხედვით, ბ. ხორავამ გაარკვია, კოდორისა და გალის მაზრაში 1930 წ. ზაფხულში ქალთა მასობრივი

[9] 1928 წ. შეიქმნა ოტობაიას საკრედიტო ამხანაგობა (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 394).

[10] 1931 წ. მიწურულისთვის გალის რაიონის დიდი ნაწილი უკვე კოლმეურნეობებში იყო გაერთიანებული. 19 სოფელში თითო მსხვილი გაერთიანება არსებობდა, ხოლო 3-ში – ოქუმში, ოტობაიასა და ბედიაში – კი 2-3 (Куправа, 2015: 581-582). თუმცა, მოსახლეობა წინააღმდეგობას უწევდა ხელისუფლებას კოლმეურნეობებში გასაერთიანებლად. ასე, მაგალითად, გუდაველები მნიშვნელოვანი პროტესტიც გამოთქვეს (Куправა, 2014: 641).

გამოსვლები დაიწყო. ხელისუფლებამ მოახერხა დაპირებებით პროტესტის ნიველირება, მაგრამ მოგვიანებით აქტივისტთა რეპრესიები განახორციელა (Хорава, 2022).

მალე ახალი გართულებები დაიწყო გალის რაიონში. კოლმეურნეობებში გაერთიანება ძალიან უხეში და ხისტი ფორმებით ხორციელდებოდა „მუშათა და გლეხთა სოციალისტურ სახელმწიფოში“. ეს კი გლეხთა პროტესტს იწვევდა მთელს ბოლშევიკურ იმპერიაში (Shearer, 1996: 195-196). ანალოგიური გამოსვლა 1931 წელს გალის რაიონშიც მოხდა. თუმცა, ხელისუფლებამ ამჯერადაც ჩაახშო პროტესტი და მალევე კოლმეურნეობათა წინააღმდეგ ანტისაბჭოური აგიტაციის გამო დააპატიმრა გალის დაწყებითი სკოლის მასწავლებლები ვლადიმერ რურუა და ბორის კვეკვესქირი, შეშელეთელი ჯოტო კილანავა, ქვემო ბარღების დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ევგენი ცობეხია და სხვ. (Хорава, 2022).

სამურზაყანო, ძირითადად, აგრარული მხარე იყო (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 274), მრეწველობის სრული განუვითარებლობით. სამურზაყანოს სამაზრო აღმასკომმა 1922 წ. ოქტომბრის დასაწყისში შეიმუშავა და დაამტკიცა დაბა გალის და მაზრის რამდენიმე სოფლის ელექტროფიცირების პროექტი; ასვე ნაბაკევში, ბარღებში, ოტობაიასა და სხვაგან ცენტრალიზებულად წყლის გაყვანის საკითხი (Сагария, 1981: 92). ამ მხრივ გარკვეული სამუშაოები ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში დაიწყო: სამურზაყანოში ჰესი 1920 წ. II ნახევარი აფხაზეთის სახალხო მეურნეობის კომისარიატის სამურზაყანოს უბნის რწმუნებულისა და ეკონომიკური განყოფილების გამგის, ალექსი გამისონიას ინიციატივითა და დაპროექტებით გაყვანილ სარწყავ არხზე აიგო. იგი დღესაც აწვდის სოფელს ენგურის წყალს (აკიშბაია, 2014: 13).

ისევე, როგორც წინა პერიოდშიც, მოსახლეობა უმთავრესად მესიმინდეობას მისდევდა.1922 წ. სამურზაყანოს მაზრას სასურსათო გადასახადის სახით 70 091 ფუთი სიმინდი და 679 ვედრო ღვინო დაეკისრა, რომელიც მაზრის მოსახლეობის 67%-ს უნდა გადაეხადა. ამ თვალსაზრისით, გადასახადის გადამხდელთა ყველაზე მეტი რაოდენობა, აფხაზეთის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებთან შედარებით (*Съезды Советов Абхазии*, 1959: 113). ამასთან ერთად, იმავე წლის 1 მარტისათვის მოშიმშილეთა დახმარების სრულიად რუსეთის ფონდში უნდა გადაერიცხა 238 000 მანეთი ნაღდი ფულით და გაეგზავნა 8 000 ფუთი სიმინდი, თუმცა, გეგმით, მხოლოდ 300 ფუთი იყო გათვალისწინებული (*Съезды Советов Абхазии*, 1959: 116-117). მაგრამ მოსახლეობას თვითონ უჭირდა და ამიტომ 1921 წ. ოქტომბერში სოფ. გალში გამართულმა სამურზაყანოს მაზრის დელეგატების ყრილობამ „დამშეულთა დახმარების კვირა“ რამდენიმე ხნით გადადებულიყო, რადგან „ძველი სიმინდი დახარჯულია და ახალი ჯერ კიდევ არაა მოწეული“ (*ქკმ*, 2014: 439). თუმცა, უკვე 1925 წ. ბოლშევიკური ხელისუფლება შენიშნავდა, სიმინდი სამურზაყანოს მაზრაში მუდმივად ნამეტით მოიწეოდა (*Социалистическая промышленность..,* 1981: 37). 1920-იან წლებში სიმინდი უმთავრესად გალში, აჩიგვარასა და ოტობაიაში მოჰყავდათ (Куправа, 2015: 237).

ამის გარდა, მოჰყავდათ თხილი, თამბაქო, აშენებდნენ ხილს. 1920-იან წლებში გალის მაზრაში სოფლის მეურნეობის ძირითად კულტურას თხილი წარმოადგენდა (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 44; *Редкие книги об Абхазии*, 2024: 307); ეს კულტურა ძირითადად გალში, ზემო ბარღებში, თაგილონში, ხუმუშქურსა და სიდა-ნაბაკევში იყო განვითარებული (Куправа, 2015: 263-264, 276).თამბაქოს წარმოების მიხედვით, აფხაზეთში, მხარეს ბოლო ადგილი ეჭირა (*Редкие книги об Абхазии*, 2024: 316). 1928 წ. გალის მაზრაში 10 პლანტაცია გაშენდა (Куправа, 2015: 297).

1923 წლისთვის სამურზაყანოში სოფლად 46 113 ადამიანი ცხოვრობდა, რომელსაც 10 272 მეურნეობა გააჩნდა (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 188). ამ სიმჭიდროვეს ართულებდა მცირემიწიანობა. გალის მაზრისთვის ზაფხული რთული პერიოდი იყო, რადგან მთელ რიგ დასახლებულ პუნქტებში (სიდა, ნაბაკევი, ჭუბურხინჯი, ცხირო-გალი, ზემო ბარღები, ხუმუშქური, თაგილონი, დაბა გალი) მდინარეები შრებოდა და მოსახლეობას მორწყვის პრობლემა ექმნებოდა. ამ მიზნის მოსაგვარებლად, გადაწყდა საირიგაციო სისტემის შექმნა. 1925 წელს ხელისუფლებამ გალის მაზრაში დაჭაობებული ადგილების ამოშრობის პროცესი დაგეგმა, რომელსაც 40 000 დესეტინა დასამუშავებელი მიწის ფართობი უნდა შეექმნა (Лакоба Н., 1987: 194;

Документы по истории Абхазии.., 2021: 274).[11] 1926 წ. დაიწყო სამურზაყანოს სარწყავი არხის მშენებლობა (*Редкие книги об Абхазии*, 2024: 418). მშენებლობა 1929 წ. დასრულდა. 8,7 კმ სიგრძის მაგისტრალური საირიგაციო არხი მდ. ენგურის წყალს აწვდიდა მოსახლეობას. საერთო ჯამში, ამ სისტემის 1200 ჰა ფართობი ირწყვებოდა. საქართველოს სსრ ბიუჯეტიდან ამ პროექტზე 189 000 მანეთი დაიხარჯა (Куправа, 2014: 52; *Материалы по истории Абхазии..*, 2016: 84-86).

1928 წლისთვის დაჭაობებული ფართობის ამოშრობის პროცესი დასრულდა და აქ ჩაის გააშენეს (Куправа, 2014: 50). ამ კულტურის მოყვანა სამურზაყანოში ჯერ კიდევ XX ს. 10-იან წლებში დაიწყო. თავდაპირველად საცდელი ნაკვეთი გალის სკოლის ეზოში მოუწყვიათ, თუმცა ნარგაობა მალე დაღუპულა (ქანთარია, 1952: 7). გარდა ამისა, სოფ. ჭუბურხინჯში გლეხ ელიზბარ კობახიას ნაკვეთში დაირგო 30 ბუჩქი და, ამდენივე, სოფელ ოქუმში ივ. გეგიას ნაკვეთში. 1932 წ. ამოქმედდა გალის ჩაის №1 ქარხანა (აკიშბაია, 2001: 60). 1930-იანი წლების შუახანებში ჩაის პლანტაციებს გალის რაიონის 8,7% ეჭირა (ქანთარია, 1952: 11). სწორედ აფხაზეთის ეს რაიონი გახდა ამ პროდუქციის ძირითადი მწარმოებელი. განსაკუთრებით გამორჩეული იყო სოფ. ოქუმის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა (ქანთარია, 1952: 14-16).

1920-იანი წლების მიწურულისთვის რიგმა დასახლებულმა პუნქტებმა მოახერხეს გარკვეული ეკონომიკური წარმატებისათვის მიღწევა და 1928-1929 საბიუჯეტო წლისთვის ხელისუფლებამ დაბა გალი და სოფლები – აჩიგვარა, ოქუმი, ოტობაია და საბერიო – სადოტაციო სიიდან ამოიღო (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 167).

ნესტიანი და დაჭაობებული ადგილების სიმრავლე გალის რაიონში ხელს უწყობდა მეღორეობის განვითარებასაც (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 197). საინტერესოა, რომ საქონლის ტაცება მხარეში საბჭოთა ოკუპაციის დროსაც მიმდინარეობდა. მათ და, ზოგადად, კრიმინალის წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდა ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი სოფლის მილიცია. მათ შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი სოფ. ოქუმის მილიციის თავკაცმა პავლე ჟვანიამ (Куправа, 1968: 52).

1922 წ. მონაცემებით, სამურზაყანოში მხოლოდ 1 უმოქმედო აგურის ქარხანა იყო (*Социалистическая промышленность..,* 1981: 24). თუმცა, ის მალევე აამუშავეს და უკვე 1936 წ. მონაცემებით, ქარხანა წელიწადში 1 მლნ ცალ აგურს ამზადებდა (*Социалистическая промышленность..,* 1981: 165, 205). 1924-1925 წწ. ოქუმში დამზადდა 20 000 ფუთი ბზის მერქანი, რომლის დიდი ნაწილი ექსპორტირებული იქნა (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 298). 1926 წ. სოფ. გაგიდაში ხე-ტყის სახერხი ქარხანა გაიხსნა, რომელიც ადგილობრივ მოთხოვნილებას სრულად აკმაყოფილებდა (*Социалистическая промышленность..,* 1981: 58, 77). ხე-ტყის დამუშავება აქ აქტიურად მიმდინარეობდა. გასაბჭოებამდე სამურზაყანოში 3 ქარხანა – თაგილონის (ეკუთვნოდა ანჩაბაძეს), ოტობაიაში (ეკუთვნოდა ძაძუას) და გაგიდაში (გოგიჩაიშვილისა და მესხიას საკუთრება) – მოქმედებდა, რომლის ნაციონალიზაციაც განახორციელეს ბოლშევიკებმა (Куправа, 2013: 252).

1926 წ. ამუშავდა ამიერკავკასიის ცენტრალური ხელისუფლების დაფინანსებით ამუშავდა ბამბის საწმენდი ქარხანა ქ. გალში, რომელსაც უკვე 1927 წ. შეძლო 20 000 ფუთი ნედლეულის დამუშავება (*Социалистическая промышленность..,* 1981: 223; Лакоба Н., 1987: 191). თუმცა, ამ ექსპერიმენტმა საბოლოოდ არ გაამართლა (Лакоба Н., 1987: 255). საკითხის მკვლევართათვის უცნობია ამის მიზეზი (ანჩაბაძე ჯ., 2012: 93). სავარაუდოდ, ადგილობრივი პროდუქციის ხარისხი კონკურენციას ვერ უწევდა აზერბაიჯანისა და შუა აზიის ანალოგიებს.

1930-იანი წლებში მათ დაემატა გალის ცარცის ქარხანაც, რომელიც 1936 წ. მონაცემებით, წელიწადში 320 000 მან. ღირებულების 3 000 ტ. ნედლეულს ამზადებდა (*Социалистическая промышленность..,* 1981: 209). ამავე წლებში ჭუბურხინჯში კირქვის ქარხანაც გაიხსნა (*Социалистическая промышленность..,* 1981: 245). 1934 წ. ცხირო-გალის აგურის, დიხაზურგის

[11] ამ პროექტის რეალიზაციისთვის ტფილისიდან წამოსული სპეციალური დაფინანსების (50 000 მან.) დიდი ნაწილი „დაიკარგა“, როგორც ნ. ლაკობა შენიშნავდა, და პროცესს მხოლოდ 23 000 მან. მოხმარდა (Лакоба Н., 1987: 194; *Документы по истории Абхазии..,* 2021: 274). როგორც ჩანს, ეს ფული ლაკობას, მისი ოჯახის და გარემოცვის ჯიბეში გადანაწილდა.

კირის და გაგიდის ხე-ტყის სახერზი ქარხნის ბაზაზე შეიქმნა გალის რ-ნის ადგილობრივი მრეწველობის საწარმო, რომელიც, 1965 წლამდე, ასევე აერთიანებდა ქ. გალის სარემონტო-სამშენებლო უბანს, ელექტრომეურნეობას, საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების ობიექტებს (აკიშბაია, 2001: 60-61).

აფხაზეთის სხვა მაზრებისგან განსხვავებით, სამურზაყანოში განვითარებული იყო მატყლის წარმოება. ამ საქმიანობას აქ 1925 წ. მონაცემებით 1 300 ადამიანი მისდევდა (Куправа, 2013: 260). მატყლის წარმოება, ძირითადად, მთის და მთისწინა ზონებში იყო განვითარებული (Куправа, 2014: 87). მესაქონლეობის ცენტრები იყო სოფლები, როგორიცაა ბედია, ჩხორთოლი, ოქუმი, საბერიო, რეჩხი და ღუმურიში (Куправа, 2014: 87).

1951-1958 წწ. ამოქმედდა მოქვის სოფლის ჰესი, ჭუბურხინჯისა და ოქუმის ჩაის ფაბრიკები, გალის პურის ქარხანა (Адлейба Д., 2002: 109)

1970-იანი წწ. II ნახევრიდან აქტიურად მიმდინარეობდა გალის რაიონის სოფლის მეურნეობის აქტიური განვითარება. ამ დროს აშენდა რეფის, ნაბაკევისა და განახლების მეცხოველეობის კომპლექსები, ოტობაიისა და გუდავის მეცხოველეობის მექანიზებული ფერმები, მზიურის ჩაის ფაბრიკა, აჩიგვარის, სიდისა და ჩხორთოლის ჩაის მიკროფაბრიკები, მზიურის ჩაის გადამწონი ფაბრიკა, რეფის ხორცკომბინატი, მეგობრობის წვენების საწარმო, გალისა და ჭუბურხინჯის მეჩაიეობისა და მეგობრობის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობების ადმინისტრაციული შენობები კლუბებით, პირველი გალის პროფტექნიკუმი 800 მოსწავლეზე, გაფართოვდა ციტრუსების გადამამუშავებელი პავილიონები კოხორასა და ჭუბურხინჯში. დაწყებული იყო სსრკ-ს ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს დედათა და ბავშვთა 800 ადგილიანი პანსიონატისა და საკავშირო მნიშვნელობის სპორტული ბაზის მშენებლობა გუდავაში; II ოტობაიაში, ბედიასა და წარჩეში მიმდინარეობდა ლიმონარიუმების დამონტაჟება (აკიშბაია, 2014: 39).

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ელექტროფიკაციის გეგმაზე მუშაობა ჯერ კიდევ საბჭოთა ოკუპაციის პირველივე დღეებიდან დაიწყო, საქმის კომპლექსურ რეალიზაციას წლები დასჭირდა და მხოლოდ 1930-იანი წლებიდან აფხაზეთში აქტიურად დაიწყო ელექტროფიკაციის სამუშაოები, რომლის მიზანი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების დონის ამაღლება და ეკონომიკის განვითარება წარმოადგენდა.

ამ მიზნით, 1932-1935 წწ. ქ. გალში, მდ. ერისწყალზე, 100 კვტ სიმძლავრის სადერივაციო ჰიდროელექტროსადგური აიგო (აკიშბაია, 2014: 6). მიუხედავად იმისა, რომ გალის რაიონს 1932 წელს 37 ერთეული ტრაქტორი[12] გააჩნდა, ჰესის მშენებლობა, ძირითადად, ხელით გაითხარა (აკიშბაია, 2014: 7). ამით ელექტროენერგია მიეწოდა, საკუთრივ რაიონული ცენტრისა, კოხორის, პირველი გალის, შეშელეთსა და მუხურს მიეწოდებოდა (აკიშბაია, 2014: 7). ჰეს-ისათვის გათხრილ არხს მხოლოდ ელექტრონერგიისთვის არ იყენებდნენ. ის სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვისაც გაითვალისწინეს. კერძოდ, იქვე ააშენეს ორი დიდდოლაბიანი წისქვილიც (აკიშბაია, 2014: 9).

ელექტროფიკაციის პროცესში ცალკეული პირებიც იყვნენ ჩართულნი. ერთი ასეთი ნოვატორი გახლდათ ქირურგი[13] ქ. გალიდან ანდრია პატარაია აღმოჩნდა, რომელიც ინჟინერიაშიც კარგად ერკვეოდა. მან 1935 წ. ტრაქტორის ძრავის საფუძველზე გალში პირველი ელექტროსადგური ააგო, მაგრამ გამომუშავებული სიმძლავრე მხოლოდ მთავარ მოედანს, საავადმყოფოსა და ადმინისტრაციულ შენობებს ჰყოფნიდა (ზუხბაია, 1988: 144).

1948 წ. ამუშავდა ჩხორთოლის 60 კვტ სიმძლავრის ჰესიც. მიუხედავად იმისა, რომ მას სოფ. წარჩეს მოთხოვნებიც უნდა დაეკმაყოფილებინა, სიმძლავრის სისუსტის გამო ეს ვერ მოხდა (აკიშბაია, 2014: 10). ჩხორთოლჰესმა 1972 წლამდე იმუშავა და შემდგომ, ექსპლუატაციის

[12] 1934 წლისთვის მათი რაოდენობა 24-მდე შემცირებულა (Куправа, 2015: 611).

[13] 1930-იანი წლების დასაწყისისთვის პირველადი სამედიცინო დახმარება, თითქმის მთელი მაზრისთვის ხელმისაწვდომი გახდა: ქ. გალში არსებობდა, როგორც უკვე აღინიშნა, საავადმყოფო, ასევე: ამბულატორია, 2 აფთიაქი, ლაბორატორია, ხოლო აჩიგვარაში, ოტობაიაში, საბერიოში, ბედიაში, რეკაში, ნაბაკევში, ბარღებში, რეფო-შეშელეთსა და ოქუმში კი – მედპუნქტი (*Документы по истории Абхазии..,* 2021: 388).

სიძვირისა და მოძველებული ტექნოლოგიების გამო, ის ვარდნილჰესმა ჩაანაცვლა (აკიშბაია, 2014: 11). 1950 წ. ივლისში ამუშავდა ჭუბურხინჯის სადერივაციო ჰესი. თუმცა, სამშენებლო გაანგარიშებაში დაშვებული შეცდომის გამო, მისი სრული სიმძლავრით ამუშავება შეუძლებელი გახდა, რის გამოც ის 1956 წ. დახურეს (აკიშბაია, 2014: 15-16). 1954-1965 წწ. მიმდინარეობდა 700 კვტ სიმძლავრეზე დაგეგმილი რეჩხის სადერივაციო ჰესი მშენებლობა (აკიშბაია, 2014: 16-17).

ქ. გალისა და გალის რაიონის ელექტროქსელების გაერთიანების შედეგად 1970 წ. გალის რაიონი ელექტროქსელი ჩამოყალიბდა, რომელიც „საქმთავარენერგოს“ სოხუმის ელექტროქსელს დაექვემდებარა (აკიშბაია, 2014: 31).

1931 წ. 14 იანვარს რკინიგზა გალის რაიონშიც შემოვიდა ენგურის გავლით (აკიშბაია, 2001: 73; გასვიანი, 2004: 393).

აგროსამრეწველო კომბინატი „გალი“ 1986-1990 წლებში საშუალოდ გამოიმუშავებდა 175,8 მლნ მანეთის პროდუქციას (ჩაი, ციტრუსი, სიმინდი, ბოსტნეული, ხორცი, რძე), რაც აფხაზეთის ასსრ ანალოგიური მაჩვენებელის 41,8%-ს შეადგენდა (აკიშბაია, 2001: 36). აქედან გამომდინარე, XX ს. II ნახევარში, ოკუპაციამდე, გალის რ-ნს გააჩნდა მძლავრი, კომპლექსურად განვითარებული ეკონომიკა შესაბამისად მაღალი სოციალურ-კულტურული ფონით (აკიშბაია, 2001: 36).

ამდენად, გალის რაიონი, რომლის მოსახლეობამაც მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა გაუწია როგორც აფხაზეთის ბოლშევიზაციას და იმთავითვე ერთგული დარჩა ერთიანი ქართული სახელმწიფოსა და მისი იდეისა, საბჭოთა ოკუპაციის პერიოდში წარმოადგენდა რეგიონის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ცენტრს. სწორედ აქ შექმნილი ეკონომიკური დოვლათი წარმოადგენდა აფხაზეთის ასსრ ბიუჯეტის შევსების ძირითად წყაროს.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

მონოგრაფიები:

აკიშბაია, ო. (2001). გალი. თბილისი.

აკიშბაია, ო. (2003). შეხვედრა წარსულთან, და არა მარტო. თბილისი.

აკიშბაია, ო. (2014). გალის რაიონის ელექტრიფიკაცია. თბილისი.

ანჩაბაძე, ჯ., (2012). ნარკვევები საქართველოს უახლესი ისტორიიდან. თბილისი.

გამახარია, ჯ. (2021). აფხაზეთი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ავტონომიური ერთეული, წგნ.: *ზ. პაპასქირი, ზ. ხონელიძე, ლ. ახალაძე, ჯ. გამახარია, ბ. ხორავა, კ. კვაშილავა, კ. ყალიჩავა.* აფხაზეთი საქართველოა. *ისტორიული რაკურსი.* თბილისი.

გასვიანი, გ. (2004). აფხაზეთი XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნეში (*ქართველთა და აფსუათა ურთიერთობების პრობლემები*). თბილისი.

გაფრინდაშვილი მ., გიორგაძე გ., გიუნაშვილი ჯ., კაჭარავა ი., ლომთათიძე ქ., ლომინაძე ბ., ლორთქიფანიძე მ., მელიქიშვილი გ., მუსხელიშვილი დ., ნაჭყებია გ., ჟორდანია ო., სიდამონიძე უ., სურგულაძე ა., ცაიშვილი ს., ძიძიგური შ., ხოშტარია-ბროსე ე., ჯორბენაძე ბ. (1991). ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო (*პასუხი „აფხაზური წერილის“ ავტორებს*). თბილისი.

ზუხბაია, ვ. (1988). გალი. *რაიონის ბუნება, ისტორიული მიმოხილვა, სახალხო მეურნეობა.* სოხუმი.

პაპასქირი, ზ. (2021). აფხაზეთის ბოლშევიკური რეჟიმის სეპარატისტული ქმედებები XX ს. 20-30-იან წლებში, წგნ.: *ზ. პაპასქირი, ზ. ხონელიძე, ლ. ახალაძე, ჯ. გამახარია, ბ. ხორავა, კ. კვაშილავა, კ. ყალიჩავა.* აფხაზეთი საქართველოა. *ისტორიული რაკურსი.* თბილისი.

ქპპმ (2014). ქართული პერიოდული პრესის მასალები 1900-1921 წწ. (აფხაზეთი – რელიგია, განათლება, კულტურა). შემდგენელ-რედაქტორი პროფესორი ირ. გელენავა. თბილისი.

ქანთარია, გ. (1952). მეჩაიეობა. თბილისი.

ხორავა, ბ., ჭანტურია, ნ. (2019). აფხაზეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1921-1991 წლებში. თბილისი.

ჯიქია, ლ. სილაქაძე, დ., (2024). *ანტისაბჭოთა ეროვნული მოძრაობა და აჯანყებები საქართველოში, 1921-1924*. ნარკვევი, დოკუმენტები. ნარკვევი: ლ. ჯიქია. გამოსაცემად მოამზადეს ლ. ჯიქიამ და დ. სილაქაძემ. თბილისი.

Shearer, D. R. (2006). Stalinism, 1928-1940, In:*The Cambridge History of Russia*. Vol. 3: *The Twentieth Century*. Edited by R. G. Suny. Cambridge University Press, 2006.

Адлейба, Д. А. (2002). Подготовка кадров интеллигенции и ее роль в социально-экономическом и культурном развитии Абхазской АССР (1946-1965 гг.). Сухум.

Гамахария, Дж., Гогия, Б. (1997). Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии). *С древнейших времен до 30-х годов XX века*. Тбилиси.

Документы по истории Абхазии.., (2021). *Документы по истории Абхазии (1917-1931)*. Над изданием работали: Г. Анчабадзе (*руководитель*), М. Пагава, И. Туташвили, Г. Майсурадзе. Тбилиси.

Куправа, А. Э. (1968). Укрепление сельских советов в Абхазии 1926-1929 годах, В кн.: *Под знаменем Октября*. Ответственный редактор Г. А. Дзидзария. Сухуми.

Куправа, А. Э. (2013). Труды. Т. 1: *ССР Абхазия в начале становления советского общества. 1921-1925 годы*. Научный редактор Салакая С. Ш. Сухум.

Куправа, А. Э. (2014). Труды. Т. 2: *История доколхозной абхазской советской деревни. 1928-1929 годы*. Научный редактор Авидзба А. Ф. Сухум.

Куправа, А. Э. (2015). Труды. Т. 3: *История кооперации советской Абхазии. 1921-1937 годы*. Научный редактор Авидзба А. Ф. Сухум.

Лакоба, Н. А. (1987). Статьи и речи. *Составитель: кандидат исторических наук А. О. Тулумджян*. Сухуми.

Лежава, Г. (1968). Развитие чайного хозяйства в Абхазской АССР в семилетке 1959-1965 гг., В кн.: *Под знаменем Октября*. Ответственный редактор Г. А. Дзидзария. Сухуми;

Материалы по истории Абхазии.., (2016). *Материалы по истории Абхазии советского периода*. ССР Абхазия в первом десятилетии (1921-1931 годы). Сборник документальных материалов. Т. 3. Составитель: доктор исторических наук, академик АНА А. Э. Куправа. Сухум.

Ревкомы Абхазии, (1961). *Революционные комитеты Абхазии в борьбе за установление и упрочение советской власти* (февраль 1921 г. – февраль, 1922 г.). *Сборник документов и материалов*. Составители И. Д. Ахалая, Ф. М. Галустян, Д. Н. Нинуа. Сухуми.

Редкие книги об Абхазии, (2024). *Редкие книги об Абхазии*. Сборник репринтных изданий. *Составители*: А. Я. Дбар, А. С. Керопян. Вып. II. Сухум.

Сагария, Б. Е. (1981). Образование и укрепление советской национальной государственности в Абхазии (*1921-1938*). Сухуми.

Социалистическая промышленность.., (1981). *Социалистическая промышленность Абхазской АССР 1921-1950 г. г.* Сборник документов. Редактор: А. Э. Куправа. Сухуми.

Съезды Советов Абхазии, (1959). *Съезды Советов Абхазии*. Сборник документов и материалов (1922-1923 гг.). Составитель А. О . Тулумджян. Сухуми.

სტატია:

Хорава, Б. **(2022).** Из истории борьбы против Советской власти в Абхазии (1921-1931гг.), ჟურნ: *The Caucasus and the World.* International scientific journal. №26, 2022 (*DOI: https://doi.org/10.52340/isj.2022.26.14*);

REFERENCES:
Monographs:

Adleyba. D. A. (2002). Podgotovka kadrov intelligentsii i eye rol v sotsialno-ekonomicheskom i kulturnom razvitii Abkhazskoy ASSR (1946-1965 gg.). Sukhum.

Ak'ishbaia, O. (2001). Gali. Tbilisi.

Ak'ishbaia, O. (2003). Shekhvedra Ts'arsultan, Da Ara Mart'o. Tbilisi.

Ak'ishbaia, O. (2014). Galis Raionis Elekt'ripik'atsia. Tbilisi.

Anchabadze, J., (2012). Nark'vevebi Sakartvelos Uakhlesi Ist'oriidan. Tbilisi.

Dokumenty po istorii Abkhazii... (2021). Dokumenty po istorii Abkhazii (1917-1931). Nad izdaniyem rabotali: G. Anchabadze (rukovoditel). M. Pagava. I. Tutashvili. G. Maysuradze. Tbilisi.

Gamakharia, J. (2021). Apkhazeti – Sakartvelos Demok'rat'iuli Resp'ublik'is Avt'onomiuri Erteuli, In: Z. P'ap'askiri, Z. Khonelidze, L. Akhaladze, J. Gamakharia, B. Khorava, K'. K'vashilava, K'. Q'alichava. Apkhazeti Sakartveloa. Ist'oriuli Rak'ursi. Tbilisi.

Gamakhariya. Dzh.. Gogiya. B. (1997). Abkhaziya – istoricheskaya oblast Gruzii (istoriografiya. dokumenty i materialy. kommentarii). S drevneyshikh vremen do 30-kh godov XX veka. Tbilisi.

Gaprindashvili M., Giorgadze G., Giunashvili J., K'ach'arava I., Lomtatidze K., Lominadze B., Lortkipanidze M., Melikishvili G., Muskhelishvili D., Nach'q'ebia G., Zhordania O., Sidamonidze U., Surguladze A., Tsaishvili S., Dzidziguri Sh., Khosht'aria-brose E., Jorbenadze B. (1991). Kartul-apkhazuri Urtiertobis Damakhinjebis Gamo (p'asukhi „apkhazuri Ts'erilis" Avt'orebs). Tbilisi.

Gasviani, G. (2004). Apkhazeti XIX Sauk'unis Bolosa Da XX Sauk'uneshi (kartvelta Da Apsuata Urtiertobebis P'roblemebi). Tbilisi.

Jikia, L. Silakadze, D., (2024). Ant'isabch'ota Erovnuli Modzraoba Da Ajanq'ebebi Sakartveloshi, 1921-1924. Nark'vevi, Dok'ument'ebi. Nark'vevi: L. Jikia. Gamosatsemad Moamzades L. Jikiam Da D. Silakadzem. Tbilisi.

Kantaria, G. (1952). Mechaieoba. Tbilisi.

Khorava, B., Ch'ant'uria, N. (2019). Apkhazetis Administ'ratsiul-t'erit'oriuli Daq'opa 1921-1991 Ts'lebshi. Tbilisi.

Kp'p'm (2014). Kartuli P'erioduli P'resis Masalebi 1900-1921 Ts'ts'. (apkhazeti – Religia, Ganatleba, K'ult'ura). Shemdgenel-redakt'ori P'ropesori Ir. Gelenava. Tbilisi.

Kuprava. A. E. (1968). Ukrepleniye selskikh sovetov v Abkhazii 1926-1929 godakh. V kn.: Pod znamenem Oktyabrya. Otvetstvennyy redaktor G. A. Dzidzariya. Sukhumi.

Kuprava. A. E. (2013). Trudy. T. 1: SSR Abkhaziya v nachale stanovleniya sovetskogo obshchestva. 1921-1925 gody. Nauchnyy redaktor Salakaya S. Sh. Sukhum.

Kuprava. A. E. (2014). Trudy. T. 2: Istoriya dokolkhoznoy abkhazskoy sovetskoy derevni. 1928-1929 gody. Nauchnyy redaktor Avidzba A. F. Sukhum.

Kuprava. A. E. (2015). Trudy. T. 3: Istoriya kooperatsii sovetskoy Abkhazii. 1921-1937 gody. Nauchnyy redaktor Avidzba A. F. Sukhum.

Lakoba. N. A. (1987). Stati i rechi. Sostavitel: kandidat istoricheskikh nauk A. O. Tulumdzhyan. Sukhumi.

Lezhava. G. (1968). Razvitiye chaynogo khozyaystva v Abkhazskoy ASSR v semiletke 1959-1965 gg.., In: Pod znamenem Oktyabrya. Otvetstvennyy redaktor G. A. Dzidzariya. Sukhumi;

Materialy po istorii Abkhazii... (2016). Materialy po istorii Abkhazii sovetskogo perioda. SSR Abkhaziya v pervom desyatiletii (1921-1931 gody). Sbornik dokumentalnykh materialov. T. 3. Sostavitel: doktor istoricheskikh nauk. akademik ANA A. E. Kuprava. Sukhum.

P'ap'askiri, Z. (2021). Apkhazetis Bolshevik'uri Rezhimis Sep'arat'ist'uli Kmedebebi XX S. 20-30-ian Ts'lebshi, In: Z. P'ap'askiri, Z. Khonelidze, L. Akhaladze, J. Gamakharia, B. Khorava, K'. K'vashilava, K'. Q'alichava. Apkhazeti Sakartveloa. Ist'oriuli Rak'ursi. Tbilisi.

Redkiye knigi ob Abkhazii. (2024). Redkiye knigi ob Abkhazii. Sbornik reprintnykh izdaniy. Sostaviteli: A. Ya. Dbar. A. S. Keropyan. Vyp. II. Sukhum.

Revkomy Abkhazii. (1961). Revolyutsionnyye komitety Abkhazii v borbe za ustanovleniye i uprocheniye sovetskoy vlasti (fevral 1921 g. – fevral. 1922 g.). Sbornik dokumentov i materialov. Sostaviteli I. D. Akhalaya. F. M. Galustyan. D. N. Ninua. Sukhumi.

Sagariya. B. E. (1981). Obrazovaniye i ukrepleniye sovetskoy natsionalnoy gosudarstvennosti v Abkhazii (1921-1938). Sukhumi.

Sotsialisticheskaya promyshlennost... (1981). Sotsialisticheskaya promyshlennost Abkhazskoy ASSR 1921-1950 g. g. Sbornik dokumentov. Redaktor: A. E. Kuprava. Sukhumi.

Syezdy Sovetov Abkhazii. (1959). Syezdy Sovetov Abkhazii. Sbornik dokumentov i materialov (1922-1923 gg.). Sostavitel A. O . Tulumdzhyan. Sukhumi.

Zukhbaia, V. (1988). Gali. Raionis Buneba, Ist'oriuli Mimokhilva, Sakhalkho Meurneoba. Sokhumi.

Article:

Khorava, B. (2022). Iz istorii borby protiv Sovetskoy vlasti v Abkhazii (1921-1931gg.). In Journal: The Caucasus and the World. International scientific journal. №26. 2022 (DOI: https://doi.org/10.52340/isj.2022.26.14);